

ბანკის ვებგვერდზე <https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/card-payments> განთავსებული “პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ძირითადი პირობების” 1.3. პუნქტის შესაბამისად, სს “თიბისი ბანკი” გათავაზობს “პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების საერთო დებულებებში” (შემდგომში “საერთო დებულებები”) შემდეგი ცვლილებების / დამატებების შეტანას:

1. შეიცვალოს საერთო დებულებების პირველი მუხლის 1.1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.1 საერთო დებულებებში / განაცხადში / ბანკის ვებგვერდზე მოცემულ ტერმინთა განმარტებები და წესები ეყრდნობა საერთაშორისო საგადახდო სისტემების წესებს. ამასთან, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები თანხმდებიან, რომ საქონლის (ნივთის) / მომსახურების ღირებულების მიმდინარე / მოთხოვნამდე ანაზრის ანგარიშ(ებ)ის მეშვეობით ანგარიშსწორებისას, უპირატესად გამოიყენება ბანკის შიდა პოლიტიკით/პროცედურ(ებ)ით/სტანდარტ(ებ)ით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესები/მოთხოვნები, რაც არ გამორიცხავს ბანკის უფლებამოსილებას, იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულებით / საერთაშორისო საგადახდო სისტემების მიერ განსაზღვრული/დადგენილი წესებით / მოთხოვნებით / პირობებით / დებულებებით.“

2. შეიცვალოს საერთო დებულებების პირველი მუხლის 1.1.1 ქვეპუნქტით განსაზღვრული ტერმინის „ჩარჯბევი“ განმარტება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**ჩარჯბევი** - საერთაშორისო საგადახდო სისტემების წესების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბარათის ემიტენტის ან მფლობელის მიერ ტრანზაქციის გასაჩივრების და ექვაიერისგან (ტრანზაქციის შესრულებელი ბანკისაგან) ტრანზაქციის თანხის ან მისი ნაწილის უკან დაბრუნების მოთხოვნის პროცედურა. იმ შემთხვევ(ებ)ისთვის, როდესაც ხდება მიმდინარე ანგარიშ(ებ)ის მეშვეობით შესრულებული ტრანზაქცი(ებ)ის გასაჩივრება, ჩარჯბევის პროცედურა განსხვავდება ბარათით შესრულებული ტრანზაქცი(ებ)ისთვის განსაზღვრული ჩარჯბევის პროცედურისგან და ხსენებული უპირატესად რეგულირდება/წარმართება საქართველოს კანონმდებლობით და ბანკის შიდა პოლიტიკით/პროცედურ(ებ)ით/სტანდარტ(ებ)ით განსაზღვრული/დადგენილი წესების შესაბამისად, რაც არ გამორიცხავს ბანკის უფლებამოსილებას, იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულებით / საერთაშორისო საგადახდო სისტემების მიერ განსაზღვრული/დადგენილი წესებით/მოთხოვნებით/პირობებით/დებულებებით.“

3. საერთო დებულებების პირველი მუხლის 1.1.1 ქვეპუნქტს დაემატოს ტერმინი „ანგარიში“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**ანგარიში** - კომპანიის / კლიენტის კუთვნილი საანგარიშსწორებო (მიმდინარე / საბარათე / მოთხოვნამდე ანაზრის) ანგარიში, რომლის მეშვეობითაც ხდება საქონლის (ნივთის) შექმნასთან / მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ანგარიშსწორება.“